








1




2



3



4




5


220V - 240V ~




6









7



8



9

	gas	mbar		Qn (kW)	m ³ /h	g/h	
	G20	20	72	1	0,095	-	30
	G20	25	68	1	0,095	-	30
	G25	20	73	1	0,111	-	30
	G25	25	72	1	0,111	-	30
	G25.1	25	72	1	0,111	-	30
	G25.3	25	72	1,02	0,111	-	30
	G30	29	50	1	-	73	30
	G30	37	48	1	-	73	30
	G30	50	43	1	-	73	26
	G31	37	50	1	-	71	30
	G20	20	100	1,75	0,167	-	32
	G20	25	91	1,75	0,167	-	32
	G25	20	100	1,75	0,194	-	32
	G25	25	98	1,75	0,194	-	32
	G25.1	25	98	1,75	0,194	-	32
	G25.3	25	98	1,8	0,195	-	32
	G30	29	67	1,75	-	127	32
	G30	37	63	1,75	-	127	32
	G30	50	58	1,75	-	127	29
	G31	37	67	1,75	-	125	32
	G20	20	115	3	0,286	-	39
	G20	25	110	3	0,286	-	39
	G25	20	132	3	0,333	-	39
	G25	25	128	3	0,333	-	39
	G25.1	25	128	3	0,333	-	39
	G25.3	25	128	3,1	0,336	-	39
	G30	29	85	3	-	218	39
	G30	37	82	3	-	218	39
	G30	50	74	3	-	218	35
	G31	37	85	3	-	214	39
	G20	20	103	3,3	0,314	-	61
	G20	25	95	3,3	0,314	-	61
	G25	20	109	3,3	0,366	-	61
	G25	25	104	3,3	0,366	-	61
	G25.1	25	104	3,3	0,366	-	61
	G25.3	25	104	3,4	0,369	-	61
	G30	29	68	3,3	-	240	61
	G30	37	62	3,3	-	240	61
	G30	50	60	3,3	-	240	55
	G31	37	68	3,3	-	236	61

10

	G20/20	G20/25	G25/20	G25/25	G25.1/25	G25.3/25	G30/29	G30/37	G30/50	G31/37
G20/20	-	D	D	D	D	D	A	A	C	A
G20/25	D	-	D	D	D	D	A	A	C	A
G25/20	D	D	-	D	D	D	A	A	C	A
G25/25	D	D	D	-	D	D	A	A	C	A
G25.1/25	D	D	D	D	-	D	A	A	C	A
G25.3/25	D	D	D	D	D	-	A	A	C	A
G30/29	B	B	B	B	B	B	-	D	C	D
G30/37	B	B	B	B	B	B	D	-	C	D
G30/50	C	C	C	C	C	C	C	C	-	C
G31/37	B	B	B	B	B	B	D	D	C	-

G20, G20/G25	Erdgas, Aardgas, Gaz naturel, Erdgas H, Ergas E, Naturgas, Gas natural, Maakaasu, Gaz naturel Lacq, Natural gas, Φυσικό αέριο, Gas naturale/Gas metano, Gás Natural, Zemný plyn, Zemeljski plin
G25	Aardgas, Gaz naturel, Erdgas LL, Gaz naturel Groningue
G30/G31, G30, G31	Flüssiggas, Butaan/Propan, Butano/Propano, Butan/Propan, Flüssiggas B/P, F-Gas, Butaani/Propani, Butane/Propane, Υγραέριο μείγμα / Προπύριο, GPL, Bután/Propán
G110	Bygas, Gas manufacturado

უსაფრთხოების მითითებები

დანადგარის მონტაჟამდე და მის გამოყენებამდე, წაიკითხეთ მისი მოხმარების ინსტრუქცია.

ამ ინსტრუქციაში მოცემული დასურათებები საორიენტაციო ხასიათისაა.

ცნობარში მოცემული რეგულაციების დაუცველობისას, მწარმოებელი განთავსი უფლებულია, პასუხისმგებლობისაგან.

ამ დანადგარის გამოყენება ნებადართულია მხოლოდ საკმარის ვენტილაციის დაუშვებელია დანადგარის შეერთება საკვამურთან ან გამოსაბოქვთან.

ყველა საინსტალაციო, შესაერთებელი, დასარეგულირებელი და სხვა სახის გაზზე გადასაკეთებელი სამუშაოები უნდა შესრულდეს იქნას ავტორიზირებული სპეციალისტის მიერ, კანონით გათვალისწინებული სპეციფიკაციებისა და გამოყენებული რეგულაციების, ასევე ადგილობრივი დენის და გაზის მიმწოდებლების წესდების გათვალისწინებით. განსაკუთრებით საყურადღებოა ვენტილაციასთან დაკავშირებით მოქმედი რეგულაციებისა და დებულებების გათვალისწინება.

სხვა სახის გაზზე გადაკეთების შემთხვევაში, გირჩევთ მომხმარებელთა მომსახურების სერვისის ცენტრს დაუკავშირდეთ.

ეს დანადგარი განკუთვნილია მხოლოდ კერძო საყოფაცხოვრებო გამოყენებისათვის; ის არ არის კომერციული ან სამრეწველო მიზნებისათვის. არ არის დაშვებული ამ დანადგარის მონტაჟი იანტებსა ან მოძრავ ვაგონებში. გარანტია ვრცელდება, მხოლოდ დანადგარის დანიშნულებისამებრ გამოყენების შემთხვევაში.

დანადგარის მონტაჟამდე, შეამოწმეთ ადგილობრივი რეგულაციები და ტიპის ნიშნულზე მოცემული დანადგარის პარამეტრების (გაზის ტიპი და წნევა, ნომინალური სიმძლავრე, ძაბვა) თავსებადობა.

შესაბამისი სამუშაოების განხორციელებამდე, გათიშეთ დენისა და გაზის მომარაგება.

ქსელის კაბელი ჩასაშენებელ ავეჯზე მყარად უნდა იყოს დამაგრებული, რათა ღუმელისა და კონფორების ცხელ ნაწილებთან შეხებაში არ მოდიოდეს.

ელექტრო დანადგარები ყოველთვის დამიწებული უნდა იყოს. არ განხორციელოთ დანადგარს შიდა სამუშაოები. საჭიროების შემთხვევაში, გთხოვთ დაუკავშირდეთ ჩვენს კლიენტთა მომსახურებას.

ჩაშენებამდე

ეს დანადგარი შეესაბამება DIN 3 EN 30-1-1-ის თანახმად მე-3 კლასს გაზის დანადგარებისათვის: ჩასაშენებელი დანადგარები.

ავეჯი, რომელშიც დანადგარი უნდა ჩაშენდეს, საკმარისად მყარად უნდა იდგეს.

დანადგარის გვერდით მდებარე ავეჯი, რომელთა დაფარული მასალა, ისევე როგორც შემაერთებელი წებო, არ უნდა შეიცავდეს აალებად მასალას და სიცხეგამძლე უნდა იყოს.

არ არის დაშვებული ამ დანადგარის მონტაჟი მაცივრების, სარეცხი მანქანების, ჭურჭლის სარეცხი მანქანების და სხვა მსგავსი დანადგარების ზემოთ.

კონფორის ზედაპირების მონტაჟი დასაშვებია მხოლოდ ვენტილაციის უნარის მქონე ღუმელების თავზე.

თუ კონფორების ქვეშ ღუმელი უნდა ჩაშენდეს, შესაძლებელია სამუშაო დაფის სისქე, ამ ინსტრუქციაში მოცემულ მინიმალურ სისქეს აჭარბდეს. ყურადღება მიაქციეთ ღუმელის სამონტაჟო ინსტრუქციას.

თუ მონტაჟდება გამწოვი მილი, ეს ყოველთვის მონტაჟის სახელმძღვანელოს მიხედვით განხორციელეთ და ამავდროულად დაიცავით კონფორებთან მინიმალური დისტანცია (დასურ.1).

სამზარეულო ავეჯის მომზადება (დასურ.1-2)

სამუშაო სივრცეში საჭირო ზომების ჭრილი მოარგეთ.

ხის ფანერის სამუშაო დაფების შემთხვევაში დაამუშავეთ ჭრილები სპეციალური საშუალებით, რომ ისინი სინოტივისაგან დაიცვათ.

თუ კონფორის ველის ქვეშ ღუმელი არ არის, დაიტანეთ არა აალებადი მასალის შუასაგები (მაგ. მეტალი ან ფანერა) კონფორების ზედაპირის ძირიდან 10 მმ-ით ქვევით. ამგვარად თავიდან იქნება არიდებული კონფორების ველის ქვედა ნაწილზე წვდომა.

მანძილი იატაკსა და დანადგარის ქსელის შეერთებას შორის მინიმუმ 10 მმ-ს უნდა შეადგენდეს.

დანადგარის ჩაშენება (დას. 3)

მითითება: კონფორების ჩაშენებისას, გამოიყენეთ დამცავი ხელთათმანები.

მოდელის მიხედვით შესაძლებელია ქარხნულად იქნას დატანილი წებოვანი იზოლაცია. ასეთ შემთხვევაში, არასოდეს მოაშორეთ ის, ვინაიდან ის ხელს უშლის გაჟონვას. თუ იზოლაცია ქარხნულად არ არის დატანილი, დააწებეთ ის კონფორების ქვედა კიდეტან.

ჩასაშენებელ ავეჯზე დანადგარის დამაგრებისათვის:

1. ამოიღეთ მომჭერები აქსესორების პარკიდან და მოუჭირეთ მოცემულ პოზიციაზე ისე, რომ ისინი თავისუფლად ტრიალებდნენ.
2. კოფორი ჩასვით ცენტრალურად. დააჭირეთ კიდეებს ქვემოთ მანამ, სანამ მთლიანი კიდე არ დამაგრდება.
3. მოატრიალეთ მომჭერი და მყარად დამაგრეთ. მომჭერების პოზიცია დამოკიდებულია სამუშაო ზედაპირის სისქეზე.

დანადგარის დაწებება სამუშაო დაფაზე არ შეიძლება სილიკონის გამოყენებით.

კონფორების ზედაპირის მოხსნა

გამოაერთეთ დანადგარი კვების წყაროდან და გაზის მომარაგებიდან.

მოახრახნეთ სამაგრები და მიჰყევით მონტაჟის ნაბიჯებს უკუსვლით.

გაზის შეერთება (დასურ.4)

გაზის შეერთება ისე უნდა იყოს, რომ ჩამკეტი სარქველი ყოველთვის მიდგომადი იყოს.

გაზის კონფორთან შემავალი მილის ბოლოს მდებარეობს 1/2" (20,955 მმ) ხრახნი. ეს ხრახნი საშუალებას იძლევა:

- მყარი შეერთება.
- შეერთება მეტალის მილით (L მინ. 1 მ - მაქს. 3 მ).

დაიტანეთ თანდართული იზოლაცია (034308) კოლექტორის გამოსასვლელსა და გაზის შეერთებას შორის.

შლანგი არ უნდა იყოს კონტაქტში ჩასაშენებელი ერთეულის მოძრავ ნაწილებთან (მაგ. უჯრა) ან ლიობების გამო არ უნდა იცობოდეს.

შეერთებისას, ნებისმიერი ტიპის შემთხვევაში, მუხლი არ უნდა გაამძრავოთ ან მოატრიალოთ და ამგვარად უნდა იქნას თავისი ქარხნული ადგილიდან გამოღებული.

▲ გაზის გამოყოფის საშიშროება!

შეერთების ადგილზე სამუშაოების წარმოებისას, მუდმივად შეამოწმეთ ის ჰერმეტიკობაზე.

მწარმოებელი არ იღებს პასუხისმგებლობას გაზის გამოსვლისას ისეთი შეერთების ადგილიდან, რომელიც მანამდე გადაღებული იქნა.

ელექტრული შეერთება (დასურ. 5)

დანადგარი მიეკუთვნება "Y" ტიპს. გაყვანილობის კაბელი არ უნდა იქნას გამოცვლილი მომხმარებლის მიერ, მისი შეცვლა დასაშვებია მხოლოდ კლიენტთა მომსახურების სამსახურის მიერ. გათვალისწინებული უნდა იქნას როგორც კაბელის ტიპი, ისე მისი მინიმალური დიამეტრი.

კონფორები მოწოდებულია ქსელის კაბელით, შტეკერით ან მის გარეშე.

შტეკერით აღჭურვილი დანადგარების შეერთება ნებადართულია მხოლოდ რეგულაციების თანახმად დამიწებული შტეკერით.

საჭიროა დაყენებული იქნას მრავალპოლუსური გამანაწილებელი, მინიმუმ 3 მმ-იანი საკონტაქტო მანძილით (გარდა თავისუფლად წვდომად შტეფსელში შეერთებისა).

სხვა სახის გაზზე გადაყვანა

თუ, კონკრეტული ქვეყნის შესაბამისი რეგულაციები ამის საშუალებას იძლევა, შესაძლებელია დანადგარის სხვა გაზის ტიპზე გადაყვანა (იხილეთ ტიპის ნიშნული). ამისათვის აუცილებელი ნაწილები თანდართულია გადაყვანის ნაკრებში (მოდელის შესაბამისად) ან ხელმისაწვდომია კლიენტთა მომსახურების სამსახურში.

მნიშვნელოვანია: ტიპის ნიშნულის სიახლოვეს, დაიტანეთ სტიკერი გადაყვანილი გაზის ტიპის მითითებით.

საჭიროა განხორციელებული იქნას შემდეგი ნაბიჯები:

A) შემფრქვევის გამოცვლა (დასურ. 6):

1. გამოიღეთ გისოსები, სანთურას თავსახური და გამანაწილებელი.
2. გამოცვალეთ მფრქვევანიები ჩვენს კლიენტთა მომსახურების სამსახურში ხელმისაწვდომი ქანჩის მეშვეობით არტიკულის ნომერი 340847 (ორმაგი და სამმაგი სანთურასათვის)

არტიკულის ნომერი 340808), იხილეთ დასუ 9. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ, რომ საფრქვევი მოხსნისა ან სანთურაზე დამაგრებისას არ გადატყდეს.

დარწმუნდით, რომ ბოლომდე გაქვთ მოტრიალებული, რათა კარგი იზოლაცია იქნას უზუნველყოფილი.

ასეთი სანჭურებისათვის, არ არის საჭირო პირველადი ჰაერის დაყენება

3. გამანაწილებელი და სანთურას თავსახური შესაბამის სანთურას მოარგეთ. ამას გარდა, სწორად შესვით გისოსები.

B) გაზის სარქველების დაყენება (დასურ.7):

1. დააყენეთ მართვის ბერკეტი ყველაზე დაბალ დონეზე.
2. მართვის ბერკეტი გაზის სარქველიდან მოხსენით. გამოჩნდება მოქნილი რეზინის იზოლაცია. სახრახნისის თავით დააჭირეთ გაზის სარქველის მარეგულირებელ ხრახნს.

არასოდეს მოხსნათ იზოლაცია. საიზოლაციო რგოლები ხელს უშლის სითხისა და ჭუჭყის შეღწევას დანადგარის შიდა სივრცეში, რომელსაც ფუნქციის დარღვევის განპირობება შეუძლია.

3. დააყენეთ მინიმალური გაზის დინება, რომელმის შემოვლითი ხრახნი სახრახნისის მეშვეობით მოატრიალეთ.

გაზის ტიპის მიხედვით, რომელზედაც გადაგყავთ მოწყობილობა (იხილეთ ცხრილი 10), საჭიროა შესაბამისი ეტაპების განხორციელება:

A: შემოვლითი ხრახნების სრულად მორგება.

B: შემოვლითი ხრახნების მოშვება სანთურებიდან გაზის სწორ დინებამდე.

C: შემოვლითი ხრახნების გამოცვლა, ავტორიზებული სპეციალიზირებული ხელოსნის მიერ უნდა განხორციელდეს.

D: ნუ განახორციელებთ შემოვლით ხრახნებზე ცვლილებებს.

დარწმუნდით, რომ მართვის ბერკეტის მობრუნებისას ყველაზე მაღალ და ყველაზე დაბალ საფეხურს შორის, სანთურა არ ქვრება და ალი არ იკარგება.

თუ არ უნდა მოხვედრილიყავით შემოვლით ხრახნთან, ცხიმის დამჭერი ავზი მოხსენით, რომელიც დანარჩენ კოფორებთან არის მიხრახნილი. მოხსნისათვის, იმოქმედეთ შემდეგნაირად:

1. გამოიღეთ ყველა გისოსი, სანთურას თავსახური, გამანაწილებელი და მართვის სახელური.
2. მოუშვით სანთურას ხრახნები.
3. დანადგარის კვლავ ჩამაგრებისათვის, მიჰყევით მოხსნის ინსტრუქციას უკუ-მიმართულებით.

არასოდეს მოახდინოთ გაზის სარქველის ღერძის დემონტაჟი (დასურ. 8). დაზიანების შემთხვევაში, გაზის სარქველი მთლიანად უნდა გამოიცვალოს.